ზიგმუნდ ფროიდი

სამი ნარკვევი
სექსუალობის თეორიიდან

ქართული თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ გორგიშელს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2022

წინამდებარე წიგნის საკვლევ საკითხს წარმოადგენს სექსუალობა და მისი გამოვლენა ბავშვობის, მოზრდილობისა და ზრდასრულობის დროს. ფროიდი აღწერს ყველა სექსუალურ პერვერსიას, რომელიც წარმოდგება, როგორც გადახრა ნორალურად წოდებული სექსუალობიდან. სექსუალური გადახრების კლასიფიკაციის შესაქმნელად ფროიდი ლიბიდოს კონცეფციის პარალელურად იყენებს იმპულსის ცნებას, რომელიც გულისხმობს ფსიქიკურ იმპულსს, რომლის წყაროც სხეულის გარკვეულ ნაწილშია და ხასიათდება, როგორც მიზნისკენ მიმართული და ობიექტის მქონე. გარდა ამისა, ფროიდი საუბრობს ნარცისიზმისა და მისი გამოვლინებების შესახებ.

რაც შეეხება ტაბუს, რომელიც ძალაუფლებასთან ასოცირდება არის ქალწულობის ტაბუ, რომლის არსებობაც კაცობრიობის ისტორიაში საუკუნეებს ითვლის. ფროიდის მიხედვით, ეს პირდაპირ კულტურის, რელიგიისა და ადათის მიერ ტაბუირებული საკითხია, რომელსაც ძალაუფლება უდევს საფუძვლად. ძალაუფლება იმ გაგებით, რომ ქალწულობის ტაბუ თავის თავშივე მოიაზრებს მორჩილების ცნებას.

ავტორი: ზიგმუნდ ფროიდი
მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი
რედაქტორი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4880-3

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა 5

შესავალი 9

I სქესობრივი ლტოლვის თეორიისათვის 11

1. გადახრა სექსუალურ ობიექტთან მიმართებით 11

2. გადახრა სექსუალურ მიზანთან მიმართებით 25

3. ზოგადად პერვერსიების შესახებ 38

4. ნევროტულთა სექსუალური ლტოლვა 41

II ინფანტილური სექსუალობა 52

III გარდაქმნები სქესობრივი სიმწიფისას 90

ნარცისიზმის შესახებ 133

მამაკაცის მიერ ობიექტის არჩევის
განსაკუთრებული ტიპის შესახებ 169

ეროტიკული ცხოვრების დამცირების
უნივერსალური ტენდენციის შესახებ 180

ქალწულობის ტაბუ 196

ინფანტილური გენიტალური ორგანიზაცია
(სექსუალური თეორიის დანართი) 217

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 225–227

მთარგმნელის წინასიტყვაობა

I. სქესობრივი ლტოლვის თეორიისათვის

ფროიდი იწყებს მუშაობას ადამიანის სექსუალობის თვისებებზე დაყრდნობით, რომელთა წარმოქმნა ხდება პუბერტატის დროს, ფიზიოლოგიური მომწიფების პროცესთან ერთად. სექსუალობა გამოიხატება ერთი სქესის მეორისკენ მიზიდულობის ფენომენში, ხოლო მისი მიზანი არის სექსუალური კავშირი, ან მინიმუმ ის ქმედებები, რაც მას იწვევს.

თუმცა, ეს კონცეფცია კრიტიკას ვერ უძლებს. კრაფტ-ებინგის სექსოლოგიისადმი მიძღვნილ გადახვევაში, რომელმაც „სექსუალური ფსიქოპათია“ (1899) გამოაქვეყნა, ფროიდი აღწერს ყველა სექსუალურ პერვერსიას, რომელიც წარმოდგება, როგორც გადახრა ნორმალურად წოდებული სექსუალობიდან. ამგვარ კონსტრუქციას, პერვერსიების ასეთ კლასიფიკაციას ფროიდი აფუძნებს სექსუალური მიზიდულობის კონცეფციაზე, რომელიც სექსუალობისთვის იმავეს წარმოადგენს, რასაც შიმშილი საკვებისთვის.

ამასთან, ამ სექსუალური გადახრების კლასიფიკაციის შესაქმნელად ფროიდი ლიბიდოს კონცეფციის პარალელურად იმპულსის ცნებას იყენებს. რა არის ფროიდისთვის იმპულსი? – ეს არის ფსიქიკური იმპულსი, რომლის წყაროც სხეულის გარკვეულ ნაწილშია და რომელიც შეიძლება ხასიათდებოდეს, როგორც მიზნისკენ მიმართული (კმაყოფილება, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ მოქმედებებს) და ობიექტის მქონე (საშუალება, რომლითაც კმაყოფილება მიიღწევა). ზოგადად, ეს განმარტება ასევე შესაფერისი იქნებოდა ინსტინქტის კლასიკური კონცეფცი-

ისთვისაც. მაგრამ იმპულსის დამახასიათებელი თვისება მდგომარეობს მისი წყაროების, ობიექტების და მიზნების მრავალფეროვნებაში, რაც ფროიდს აიძულებს გაანადგუროს სექსუალური ინსტინქტი და მისი სტერეოტიპი.

პერვერსიების აღწერა ფროიდს საშუალებას აძლევს აჩვენოს, რომ კმაყოფილების ობიექტი (სხვა სქესის) შეიძლება შეიცვალოს სხვა ობიექტით (მაგალითად, ჰომოსექსუალიზმის შემთხვევა) ან უპასუხოს ფეტიშურ მდგომარეობას (თმის გარკვეული ფერი, გარკვეული ფიზიკური დეფექტები...). კმაყოფილების მიღწევა ასევე შეიძლება სქესობრივი კავშირის გარეშე (მაგალითად, ექსჰიბიციონიზმი, ვუაიერიზმი, მასტურბაცია) ან სხეულის იმ ნაწილებზე დაფიქსირებით, რომლებიც პრინციპში „დამხმარეა“ (მაგალითად, პირი).

II. ინფანტილური სექსუალობა

სექსუალობა ადამიანის ცხოვრებაში დაბადების დროს არ იჭრება. ბავშვთა სექსუალური მანიფესტაციები, რომლებიც ფროიდამდე დიდი ხნით ადრე შენიშნეს, აღარ უნდა განიხილებოდეს, როგორც გამონაკლისი მოვლენები ან ადრეული გარყვნილების საშინელი მაგალითები. ინფანტილური სექსუალობა რეალურად იწყებს განვითარებას ცხოვრების დასაწყისიდანვე: „ინფანტილური სექსუალობა, როგორც ჩანს, აძლიერებს სხეულის სასიცოცხლო ფუნქციებს. მას ჯერ კიდევ არ გააჩნია სექსუალური ობიექტი. იგი არის ავტოეროტიკული, ხოლო მისი სექსუალური მიზანი ეროგენული ზონის კონტროლის ქვეშ იმყოფება“. მისი უარყოფა – ესაა სერიოზული შედეგების გამომწვევი შეცდომა, რადგან, ფროიდის თანახმად, სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ სექსუალური ცხოვრების დღევანდელ არცოდნას. ზრდასრულის სექსუალობა, ფაქტობრივად, ინფანტილურ ხასიათს ატარებს.

მეორე ნარკვევი წარმოგვიდგენს რეგრესიულ პროცესს. ფროიდის მიერ ხაზგასმული სამი თვისება – დახმარება, ავტოეროტიკულობა და ეროგენული ზონები – არა მხოლოდ ბავშვთა სექსუალობის დადგენას ემსახურება, არამედ ზრდასრულთა პე-

I სქესობრივი ლტოლვის თეორიისათვის

1. გადახრა სექსუალურ ობიექტთან მიმართებით

სქესობრივი ლტოლვის საყოველთაოდ მიღებული თეორია უმეტესწილად პოეტურ ზღაპარს ჰგავს ადამიანის დანაწილების შესახებ ქალად და მამაკაცად, რომლებიც ცდილობენ კვლავ გაერთიანდნენ სიყვარულში, რის გამოც დიდ მოულოდნელობას ვხვდებით, როდესაც ვიგებთ, რომ არსებობენ მამაკაცები, რომელთა სექსუალურ ობიექტს არა ქალი, არამედ მამაკაცი წარმოადგენს, და ასევე გვხვდებიან ქალები, რომელთა სექსუალური ობიექტი არა მამაკაცი, არამედ ქალია. ასეთ ადამიანთა სექსუალობას გადაგვარებულს უწოდებენ ან, უმჯობესია ვთქვათ, ინვერტირებულს, ხოლო თავად ფაქტს – ინვერსიას. ასეთ ადამიანთა რაოდენობა მნიშვნელოვანია, თუმცა ზუსტი რიცხვის განსაზღვრა სირთულეებთან გახლავთ დაკავშირებული.

ა. ინვერსია
ინვერტირებულთა საქციელი

ეს ადამიანები სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვაგვარად იქცევიან.

ა) ისინი აბსოლუტურად ინვერტირებულნი არიან ანუ მათი სქესობრივი ობიექტი მხოლოდ და მხოლოდ მათივე სქესის მატარებელი უნდა იყოს, როდესაც საპირისპირო სქესი არამც თუ არ აღძრავს მათში სქესობრივ ლტოლვას, არამედ გულცივებს ტოვებს და დროდადრო სქესობრივ სიძულვილსაც კი იწვევს. სიძულვილის წყალობით ასეთ მამაკაცებს არ ძალუძთ ნორმალური სქესობრივი აქტის ჩატარება ან მისი ჩატარებისას არანაირ სიამოვნებას განიცდიან.

ბ) ისინი ამფიგენურად ინვერტირებულნი არიან (ფსიქოსექსუალური ჰერმაფროდიტები) ანუ მათი ობიექტი შესაძლოა ეკუთვნოდეს როგორც თავიანთ, ასევე საპირისპირო სქესს და ინვერსია, შესაბამისად, არ ატარებს განსაკუთრებულობის ხასიათს.

გ) ისინი შემთხვევით ინვერტირებულნი არიან ანუ გარკვეული გარემო პირობების არსებობისას, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ ნორმალური სქესობრივი ობიექტის მიუწვდომლობა და მიბაძვა, მათ შესაძლოა სქესობრივ ობიექტად თავისივე სქესის პიროვნება აირჩიონ და ასეთი სქესობრივი აქტით მიიღონ სიამოვნება.

ინვერტირებულები განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენენ საკუთარი სქესობრივი ლტოლვის თავისებურებათა მიმართ. ერთნი ინვერსიას თავისთავად გასაგებად აღიქვამენ, მსგავსად იმისა, როგორი დამოკიდებულებაც აქვს ნორმალურ ადამიანს საკუთარი ლიბიდოსადმი, და ენერგიულად იცავენ მის თანაბარუფლებიანობას ნორმალურის გვერდით. სხვები კი აღშფოთებულნი არიან საკუთარი ინვერსიის ფაქტით და მას ავადმყოფურ აკვიატებად მიიჩნევენ[2].

სხვა ვარიაციები დროით ურთიერთობებს ეხება. ინვერსიის განსაკუთრებულობა ინდივიდში დიდი ხანია არსებობს, მას

---

2. ასეთმა წინააღმდეგობამ ინვერსიისადმი შესაძლოა შექმნას პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს თერაპიულ ზემოქმედებას ჩაგონების ან ფსიქოანალიზის გზით.

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
12. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
13. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
14. ზიგმუნდ ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

15. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
16. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

17. ბერტრან რასელი – ესეები
18. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

19. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
20. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია

21. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
22. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
23. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
25. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
26. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
27. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
28. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
29. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

30. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
31. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
32. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
33. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

34. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

35. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
36. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

37. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
38. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
39. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
40. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

41. ოშო – საწყისთა საწყისი
42. ოშო – სიყვარულის ძალა
43. ოშო – რა არის მედიტაცია?
44. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

45. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
46. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

47. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
48. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

49. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
50. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

51. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
52. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
53. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
54. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV

55. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
56. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

57. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
58. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

59. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
60. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
61. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

62. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
63. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
64. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

65. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
66. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი

67. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
68. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი